საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 22 0000444229

03/05/2022

შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნეს სკოლის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1.გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27[5]მე-7[1]პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. შპს კავკასიის უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №1175956 02/11/2021 სააკრედიტაციო განაცხადი „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი ერთობლივ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 ნოემბრის №1239385 საფუძველზე, შპს კავკასიის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2022 წლის 25 იანვრის N66336 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2022 წლის 18 თებერვალს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს კავკასიის უნივერსიტეტში, ხოლო 2022 წლის 14 აპრილს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2022 წლის 15 აპრილს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 12 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნეს სკოლის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი ერთობლივ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი ერთობლივ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2022 წლის 03 მაისის №443804 სხდომის ოქმის № 2 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რჩევები სრულად გაიზიარა და დაამატა რჩევა, რჩევები საბოლოო სახით განსაზღვრა შემდეგნაირად:

რჩევები:

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა სილაბუსების ჰარმონიზაცია მოთხოვნების, ლექციების დაგეგმვის, სწავლის შედეგების დეტალების და სავალდებულო საკითხავი მასალების განახლების კუთხით. ზოგიერთი ამჟამად ძალიან დეტალურია, ზოგი კი უფრო ზოგადი. 2022 ან 2023 წლებში პროგრამის ამოქმედებისთვის შესაძლოა სილაბუსების განახლებაც იყოს გათვალისწინებული;
- სამუშაო გამოცდილების მოსაპოვებლად სტაჟირების პერიოდები შეიძლება ცალსახად იყოს გათვალისწინებული პროგრამის სტრუქტურაში (სტანდარტი 2.4). ეს გულისხმობს ინფორმაციას მიზნებზე, პერიოდზე, ასევე სტუდენტების მონიტორინგს და საბოლოოდ შეფასების მეთოდს;
- ექსპერტთა ჯგუფი გვთავაზობს რეგულარულ შეხვედრებს ორივე დაწესებულების ერთი და იმავე სფეროს აკადემიურ პერსონალს შორის, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლების სესიების თანმიმდევრული პროგრესი და სწავლის შედეგები. ეს რჩევა

განსაკუთრებით ეხება ფინანსებისა და მარკეტინგის კურსებს, რომლებიც პროგრამის მიერ განვითარებული ძირითადი უნარებია;

- კვლევის აქტივობა, როგორც ჩანს, არაერთგვაროვნად არის განაწილებული კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შორის. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, გააქტიურდეს ძალისხმევა პუბლიკაციების მინიმალური დონის გასაუმჯობესებლად ყველა აკადემიური პერსონალისთვის, მაშინაც კი, თუ მათი უმრავლესობა აჩვენებს კონფერენციაში მონაწილეობის მინიმალურ დონეს;
- პროგრამამ უნდა წაახალისოს კოლეგების მიერ ერთმანეთის შეფასება, რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ლექციებზე დასწრებას. უკუკავშირის გაზიარება ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.
- სასურველია, პროგრამის ფარგლებში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს მენეჯმენტის საბაზისო საკითხების (მათ შორის, ზოგადი მენეჯმენტის პრინციპების, საწარმოო ოპერაციების მართვის,და სხვ.) სავალდებულოდ სწავლებას,

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 15 აპრილს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 241მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი პროგრამა Joint Program of Business Administration
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი 2. რენის ბიზნესის სკოლა (რენი, საფრანგეთი)
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი Bachelor of Management
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება / 0413 Management and administration
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	184
14	განხორციელების ადგილი	1. კავკასიის უნივერსიტეტი,, პაატა სააკაძის #1, თბილისი, 0102, საქართველო 2. რენის ბიზნესის სკოლა, 2 rue Robert d'Arbrissel 35000 Rennes, საფრანგეთი

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	15.04.2022
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	15.04.2026